ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 შაბათი, 3 ნოემბერი № 1630

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.

შაბათს, 3 გიორგობისთვეს, დიდუბის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

გიორგი დავითის-ძის ქართველიშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება $9^1/_2$ საათზე, პანაშვიდი 12 ს. (2—2)

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

„მოამბე“-„ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით.

ყოველ თვიური ჟურნალი

„მ ო ა მ ბ ე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	18 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	11 მ. —
6 თვით	4 „	6 თვით	6 „ 50კ.
1 „	75 „	1 „	1 „ 10 „

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

სურათებიანი დამატება

გაეგზავნება მხოლოდ ორივე გამოცემაზე ხელის მომწერთ.

წლიური ფასის განაწილება საშივე გამოცემაზე: პირველად—6 მან., 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—2 მან.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კაპ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი** № 372

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Моамбе“** и **„Цнобисъ-Пурцели.“**

კვირას, 4 ნოემ **ქართული თეატრი** **ბერს 1901 წელს**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I

ფული და ხარისხი

კომ. 3 მოქ. თხზ. აზიანისა.

II

ძალად ცოლის

შერთვევინება

კომ. 1 მოქ. მოლიერისა, თარგ. დ. ყიფიანისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ლეჟავა, მდივანი და გივიშვილისა. ბ.ბ. აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი, სარჯველაძე დ სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე. **ფასები ჩვეულებრივია.**

შემდეგი წარმოდგენა ხუთშაბათს, 8 ნოემბერს; მზადდება შემდეგი პიესები: „მსხვერპლისთვის მსხვერპლი“ დრ. 3 მოქ. და „ტარტიუფი“ კომ. 5 მოქ.

რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ე. ზ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ზ. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ა. ნ. ზატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ა. მ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ს. ა. ვოინო.—ხირურგიული, ხუთშაბათობით და შაბათობით 1—2 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ვ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10 12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით, ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). **ტელეფონი** № 274. (წლ.)

ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 4 ნოემბერს, დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში დანიშნულია **საზოგადო კრება** განსაგრძობად 28 ოქტომბრის საზოგადო კრებისა. განხილულ უნდა იქმნეს: 1, სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1901 წლისათვის; 2, არჩევანი გამგეობის წევრთა და თავმჯდომარისა; 3, არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა და 4, არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. (3—3)

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, №16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

ინჟინერი

გიორგი დეკანოზიშვილი

მიიღებს შემდეგ საინჟინერო სამუშაოებს: 1) მადნეულობის გამოკვლევა—ნავთისა, ქვა-ნახშირისა, ვერცხლისა, სპილენძისა და სხვ. 2) წყლის გამოყვანას სასმელად და მამულების სარწყავად, 3) ექსპერტიზას სადაო საქმეებში და 4) პლანების გაკეთებას და სხვა საინჟინერო საქმეებს.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, 4 საათიდან 6 საათამდე. ადრესი: Георгіевская площадь № 32. (5—3)

ე ქ ი მ ი

პ. მ. ელიოზიშვილი

ვილებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

მთავრობის განკარგულებანი

—

უმაღლესად ებოძათ თავად-აზნაურთა წინამძღოლებს ტფილისის მაზრისას გენერალ-მაიორს **ივანე საგინაშვილს** წმ. სტანისლავის 1 ხარისხის ორდენი, სენაკის მაზრის სამსახურს გარეშე მყოფს პოლკოვნიკს თავ. **ფარნაოზ მხეიძეს** წმ. ვლადიმერის მე-3 ხარისხის ორდენი და შორაპნის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს მილიციის პრაპორშჩიკს თავ. **სიმონ წერეთელს**—წმ. სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენი.

ბაქოს ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელეს **კურცხალიას** ებოძა კოლეჟსკი რეგისტრატორობა, დაღესტნის ოლქის ავარო-ანდიის გადასახადთა ინსპექტორი ტიტულიარნი სოვეტ. **მდივნიშვილი** გადაყვანილ იქმნა იმავე თანამდებობაზე გუნიბ-კაზიკუმუხის ნაწილში.

მკითხველების წერილები

იმის შესახებ, თუ როგორ მოიხმაროს თავად-აზნაურობამ უმაღლესად ნაბოძები ფული.

I

დღევანდელი ჩვენი დაქვეითება, მოქალაქობრივ გრძნობათა უქონლობა, ზნისა და ხასიათის გათახსირება შეკავშირებულია ჩვენის ოჯახის დაქვეითიანებასთან. დღევანდელი ქართველი დედა, ეს დედა-ბოძი ჩვენი ცხოვრებისა, არ აკმაყოფილებს აწინდელ ცხოვრების მოთხოვნილებას, ეს მზე და მთვარე ჩვენი ცხოვრებისა აღარ იძლევა სხივს, მისგან მივიწყებული ოჯახის კერა ვეღარ ათბობს ჩვენს გულს. ოჯახი გადაგვარებულია და ჩვენც მიგვიცია თავი ცხოვრების ტალღებისათვის და მისი ძალა საითაც უნდა, იქით გვისვრის. თუ წინანდელი დედა ძუძუსთან ერთად ჩამღერ-ჩაკვნესიდა „მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შერგებია, მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაჰზარებია», ეხლანდელი დედა სხვა ჰანგებზედ მღერის, სხვა გვარად მიმოქრის მისი აზრი და ტკბილი თაფლის მაგიერ დიდებულ სკაში, რომელსაც მდაბიურად ოჯახი ჰქვიან, ბალღამი შეაქვს. გაჰქრა ქართველი დედა და მასთან ერთად ჰქრება ჩვენი სასიქადულო ზნე და ჩვეულება, გამსჭვალულობა საზოგადო საქმისადმი და, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც წინად ამშვენებდა, მნიშვნელობასა და ძალას აძლევდა ჩვენს ოჯახს; გაჰქრა დედა და მასთან ერთად ჰქრება ჩვენი ხასიათიც, ჩვენი აღზრდაც და მისწრაფებაც საქვეყნო საქმისადმი.

აი, ამ გარემოებას უნდა მიაქციოს ჩვენმა საზოგადოებამ ყურადღება, აი აქეთკენ უნდა მიიმართოს ჩვენი მისწრაფება, ჩვენი ძალა და სიმხნე. და ეხლა სწორედ მარჯვე დროცა გვაქვს ამ საქმეში ფეხის წარსადგმელად. ის 40 ათასი მანათი ჩვენმა თავად-აზნაურობამ მოახმაროს ამ დიდებულს საქმეს—დედის აღდგენას. მას შეუძლიან შეერთებული ძალით ამ ფულით დააარსოს ქალების სასწავლებელი პანსიონით ისე, როგორც ეხლა კრონშტადტში არსებობს. ამ სასწავლებელში, საზოგადო საგნების შესწავლას გარდა, ყურადღება ექნება მიქცეული და დიდი ყურადღება ბავშვების აღზრდა-წვრთნას, ფრინველების გაშენებას, მცენარეულობის მოვლას და მრავალ სხვა ოჯახურ საქმეებს. ეს, ჩემის აზრით, არ არის ძნელი საქმე. მხოლოდ აქ საჭიროა ჩვენი საზოგადოების ყურადღება და ორივე გუბერნიების ძმურად ხელი-ხელს მიცემა და შესწავლა და გაცნობა ამ ტიპის სასწავლებლებისა. ამითი განხორციელდება ჩვენი პატივცემული ზოგიერთა ქალების სურვილიც, რომლებიც ეს 15 წელიწადია იბრძვიან თანხის შესაკებად ამ საქმისათვის და ვერა გაუწყვიათ-რა ჩვენი გულგრილობით. ამ საქმეს შედეგიც დიდი მოჰყვება, რადგანაც ამ ტიპის სკოლაში გამოზრდილ ქალს, მომავალ ქართველს დედას, უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის, ვინემ 20 საპროფესოროდ მომზადებულს ქართველს, უცხოეთში დატოვებულს, და უფრო მომეტებულ აგრონომს, რომლის უმეტესობა გაურბის თავის სპეციალურ საგანს. იმედი მაქვს, რომ ამ ჩემ გამოთქმულს აზრსაც თავად-აზნაურობის მიერ ამორჩეული კომისსია განსახილველ საგნად წარუდგენს საზოგადო კრებას.

ალ. ნათაძე

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

1 ნოემბერი

პეტერბურგი. დღეს მოხდენილ ტირაჟში მესამე სათავად-აზნაურო მომგებიან სესხისა გაბათილებულ იქმნა შემდეგი სერიები: 3415, 1643, 10015, 10604, 1579, 7018, 11287, 14782, 12032, 3103, 9618, 12312, 12395, 3071, 9025, 3488, 13071, 4075, 15589, 14354, 13146, 14410, 14115, 5166, 12843, 8551, 14145, 12273, 3730, 8132, 12010, 10769, 13949, 4253, 15298, 12702, 2083, 11419, 1565, 7896, 1005, 10234, 12064, 7757, 12330 827, 10730, 3014, 13660, 6454, 723, 10822, 5637, 14369, 5482, 12700, 2135, 13489, 7849, 11155, 15169, 7171, 2778, 5786, 9708, 14170, 14146, 15916, 1522, 4732, 9612, 4887, 8322, 7522, 5210, 9758, 15762, 5778, 1092, 11171, 4697, 15217, 13384, 14987, 1053, 14225, 10028, 11649, 15864, 7381, 11903, 6265, 5278, 15821, 3650, 9213, 10210, 14511, 7878, 10924, 9617, 4082, 13594, 7657, 875, 5338, 9964, 14936, 8239, 1403, 3585, 14601, 6307, 10825, 4100, 1423, 6404, 3953, 6544, 1516, 15313, 7557, 4641, 6211, 1262, 3443, 13208, 11301, 4120, 11765, 4548, 13712, 420, 15722, 11987, 9389, 5828, 13177, 9324, 13928, 354, 22, 11275, 2648, 7314- 145, 1822, 987, 6274, 3658, 3529, 7439, 9234, 14247, 9193, 15672, 12404, 3699, 13874, 1455, 832, 7741, 5925, 8900, 8649, 15427, 14312,

3314, 9094, 6580, 8262, 15407, 5795, 7375, 13939, 425, 14405, 7684, 9335, 9013, 11165, 7486. 7384, 298, 11679, 12344, 4555, 5649, 1424, 5776, 10168, 3176, 14498, 8146, 13835, 10167, 3795, 2019, 10081, 11093, 8897, 311, 6524, 2568, 8266, 5168, 2990, 12323, 5303, 9204, 15063, 6732, 9368, 3425, 14533, 1232, 3137, 9588, 12911, 11394, 3534, 9198, 2631, 15595, 4702, 9642, 2666 და 11782.

პარიზი. რუსეთის ელჩი თავადი ურუსოვი გუშინ დაბრუნდა და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

ამსტერდამი. „რეიტერის სააგენტოს" ამსტერდამიდან ამბავი მოუვიდა: დედოფალს ვილჰელმინას უდროოდ ეყოლა შვილი. დედოფალი ძლიერ სუსტადაა, მაგრამ მაინც არა უჭირს-რა.

კონსტანტინეპოლი. როგორც სჩანს, მართალი უნდა იყვეს ის ცნობა, რომ კონსტანი აქაური ელჩის თანამდებობიდან გადაყენებულ იქმნება. კონსტანს დიდი ხანია უნდოდა, რომ ისევ პოლიტიკურ მოღვაწეობას დაჰბრუნებოდა, რადგანაც მალე საფრანგეთში საზოგადო არჩევნები მოხდება.

ბერლინი. „რეიხს ანცეიგერ"-ში გამოცხადდა, თუ გერმანიის სახელმწიფოთა საბჭომ რა ცვლილება მოახდინა სადამოჟნო ტარიფის პროექტში; უმთავრესი მუხლები უცვლელად დარჩენილა; მხოლოდ ზოგიერთი მუხლია გამოცვლილი.

ვორონეჟი. ნიჟნე დევიცკის საერობო კრებამ დაადგინა ექიმი ჰომეოპატი მოვიწვიოთო.

კალუგა. მდინარე ოკა გაიყინა; სამარხილე გზა გაკეთდა.

ოდესა. გუშინ მენდელევიჩის დამწვარ ქარვასლაში 2 ცეცხლის მქრობელის გვამი იპოვეს. ასე რომ ცეცხლმა სულ სამი კაცი იმსხვერპლა და მილიონამდე ზარალი მისცა ქარვასლის პატრონს.

ჩისტოპოლი. ანეულის ჯეჯილები კარგად ამოდის. სიცივე დაიჭირა.

ხარკოვი. გუშინ საბჭომ დაადგინა, ხარკოვში საქალაქო საკრედიტო ბანკი გაიხსნაო.

მოსკოვი. პოლიციამ აღმოაჩინა, რომ ერთ მკერვალს თავისი სამი თვის ბავშვი დაეხრჩო და თავის საყვარლისათვის, ბავშვის დედისათვის, ბოსტანში გადაეგდებინებინა დამხრჩვალი ბავში. ეს ბავში დაბადების წამიდანვე მკერვალმა თურმე ძლიერ შეიძულა, თავის საყვარელს ნიადაგ სცემდა, რადა ჰშობეო და უშლიდა, ძუძუს ნუ აწოვებო.

ვილნო. „ვილნოს ვესტნიკ"-ში გუბერნატორის სიტყვაა დაბეჭდილი. გუბერნატორს თავის ხელ-ქვეით მოხელეებისათვის უთქვამს: აქაო და ვილნოს გენერალ-გუბერნატორად აქამდე არავინ დანიშნეს, ნურავინ იფიქრებს, რომ მთავრობა ეხლა სხვა თვალით უცქერის აქაურ მხარესაო. რაც დასავლეთ მხარისათვის წესები იყო დაწესებული და განკარგულება მოუხდენიათ წინად, ყველაფერი უცვლელად რჩება. ადგილობრივმა ხალხმა ერთ წამსაც არ უნდა იფიქროს, რომ მთავრობა ისე მტკიცედა და მძლავრად აღარ მოიქცევაო. გუბერნატორს დასასრულ უთქვამს, რომ მთავრობა მიუდგომელად, სამართლიანად და პატიოსნურად უნდა იქცეოდესო, ნამეტნავად რუსეთის განაპირა ქვეყნებშიო, რომ ხელმწიფის მსახურთ სახელი არ გაუტეხოსო.

ამსტერდამი. „რეიტერის სააგენტოს" კორესპონდენტი დეპეშით იწერება ჰააგიდან: მცოდნე წრეებს არა სჯერათ ის ამბავი, ვითომ დედოფალ ვილჰელმინას უდროოდ შვილი ჰყოლოდეს. დედოფლის მეუღლე—პრინცი დღეს დილით ჰააგაში მოვიდა და ქალაქის მიდამოებში ინადირებს.

კოპენჰაგენი. ჩრდილოეთ შოტლანდიაში და ჩრდილოეთ ზელანდიაში საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. ამ ქარიშხალმა გუშინ და დღეს რკინის-გზებზე მიმოსვლა შეაყენა, ნამეტნავად იუტლანდიაში, სადაც რკინის გზების გარდა, ვეღარც ტელეგრაფით და ტელეფონით სარგებლობენ. ამბავი მოვიდა, რომ ბევრგან გემებიც დაზარალდაო. შვეციის ერთი გემი გარიყულა და მეზღვაურები სადღაც გაჰქრნენ.

კიევი. ღამის ორ საათზე დიდ სამ-სართულიან სახლს ცეცხლი წაეკიდა. ამ სახლში როვნოს პოლკის შტაბი დგას. დაიწვა მუსიკალური ინსტრუმენტები, სახელოსნოები, საზეინკლო და სადურგლო, ჯარის-კაცების ტანისამოსი, ნივთები, ფქვილი და ბოსტნეულობა. ცეცხლი კინაღამ პოლკის ეკკლესიასაც არ წაეკიდა. დამწვარ სახლს ბევრი ხის კედელი ჰქონდა გაკეთებული. ცეცხლის მქრობ რაზმის და ჯარის-კაცების საერთო მეცადინეობით გარეშე შენობები გადაარჩინეს. პოლკის ბაირაღი გადაარჩინეს. რამდენიმე კაცი დაშავდა. ზარალი 60,000 მანეთამდე ადის.

რიგა. რიგის ტელეფონის საზოგადოებამ დღეს აქაური ტელეფონები ჩაიბარა ბელის ამხანაგობისაგან.

(სადამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. ლონდონიდან სწერენ გაზეთ «როსსია»: ერთმა სამხრეთ-აფრიკელმა მილიონერმა რობინსონმა წერილი დაბეჭდა «ტაიმს»-ში და ურჩია მთავრობას, ბურებს ამნაირი პირობებით შეურიგდეთო: «ტრანსვაალი და ორანჟის რესპუბლიკა უნდა შევაერთოთ. შეერთებული რესპუბლიკა ინგლისის მფარველობის ქვეშ იქნება და ბაირაღიც ინგლისისა ექმნება. ამ ქვეყნის გუბერნატორს საბჭო ამოირჩევს. საბჭოს წევრებად 5 ბური იქნება და 5 ინგლისელი. გუბერნატორად უსათუოდ ინგლისელი უნდა აარჩიონ. ამ კოლონიის აღმასრულებელ კომიტეტში 5 ბური იქნება წევრად და 7 ინგლისელი. შემდეგში კანონმდებელი კრება დაარსდება. კრების დეპუტატები ჩვეულებრივად იქმნებიან არჩეულნი. ამ კოლონიას სრული ავტონომია მიეცემა, აჯანყებულ კაპელ კოლონისტებსაც სრული ამნისტია (პატიება) უნდა მიეცეთ».

✿ «პროტესტანტების კავშირმა» გადასწყვიტა, უმაღლეს სასამართლოს მიჰმართოს და მოსთხოვოს, რომ მთავრობა ბერების კრებულებს კანონის თანახმად მოექცეს. კავშირს ფრანგი ბერების გაძევება აქვს გუნებაში. კავშირი აცხადებს:

«აუცილებლად საჭიროა, დიდის ძიება მოვიდოთ და იეზუიტები და სხვა ბერები თან და თან ინგლისიდან განვდევნოთ. თუ იეზუიტები ან სხვა ბერები ინგლისში დასახლდებიან, უსათუოდ სამართალში უნდა მიეცნენ და ინგლისიდან სამუდამოდ განიდევნენ.

✿ ამას წინად ფინანსთა მინისტრს ჰიქსბიჩს ელაპარაკნა და ეთქვა, რომ თუ ომი მალე არ გათავდა, კიდევ უნდა მოუმატოთ გადასახადებსაო. ამ სიტყვებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მთელ ინგლისის ერზე და ნამეტნავად ფინანსისტებზე და ბირჟაზე: ყველა სახელმწიფო ქაღალდებს თურმე უცებ ფასი დაჰკლდა. ამბობენ, ეხლა ფინანსისტებიც კი უჩივიან მთავრობას და ჰკიცხავენ, რომ საქმე კარგად ვერ მიჰყავსო.

ავსტრ-უნგრეთი. პროტესტანტების სარწმუნოების 7 ეპისკოპოსმა და 60 მღვდელმა ინგლისის მეფე ედუარდ მე-VII წერილი გაუგზავნეს და სთხოვეს, სამხრეთ-აფრიკის ომს ბოლო მოუღეთ, რადგანაც ინგლისელები და ბურები ერთი ტომისა და ერთი სარწმუნოების ხალხი არიანო.

✿ ავსტრიის სამინისტროში ერთი ჩეხი მინისტრიცაა. ესაა დოქტორ რეზეკი. რაკი მლადოჩეხები კერბერის სამინისტროს გადაუდგნენ, რეზეკმაც გამოაცხადა, მეც აღარ დავრჩები მინისტრადაო, რადგანაც მართლაც და მთავრობა ჩეხურ ენას სდევნისო. რეზეკის მაგიერ კერბერმა სტაროჩეხი მატუშა მოიწვია, მაგრამ მატუშამ უარი უთხრა. ჩეხური გაზეთები არწმუნებენ: ჩეხებში არავინ არ მოინდომებს კერბერის სამინისტროში სამსახურსაო.

როგორც სჩანს, კერბერიც, ცოტა არ იყოს, შეშინებულა და ჩეხების ერთი მოთხოვნილება მაინც შეუსრულებია. ოფიციალურ გაზეთ «ვინერ ცაიტუნგა»-ში გამოცხადდა: მორავიის ახალ პოლიტეხნიკუმში ქალ. ბრიუნში პროფესორებად ხუთი ჩეხი დაინიშნაო. დიდი ხანია, რაც ჩეხები ამას თხოულობენ, მაგრამ აქამდე მათი მოთხოვნილება შეუსრულებელი რჩებოდა.

შეერთებული შტატები. ქალ. ნიუ-იორკის მოქალაქეებს ძლიერ გაჰხარებიათ, რომ ქალაქის თავად სეტ-ლოუ აირჩიეს და «ტამანი-ჰოლი»-ს ბატონობას ბოლო მოუღეს. ხალხმა დიდი მანიფესტაციები გამართა სეტ-ლოუს პატივსაცემლად. პრეზიდენტმა რუზველტმა ახალ ქალაქის თავს დეპეშა გაუგზავნა და გამარჯვება მიულოცა: ძლიერ მოხარული ვარ, რომ პატიოსნმა მოქალაქეებმა მაგრე შესანიშნავად გაიმარჯვესო.

✿ «ნიუ-იორკ ჰერალდ»-ი იუწყება: ამერიკის ყველა სახელმწიფოთა კონგრესზე შეერთებული შტატების წარმომადგენელმა სენატორმა დევისმა გამოაცხადა: მონროეს დევიზის ძალით, სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკებს ვერც არავინ ხელს ახლებს, ვერც არავინ ხმას გასცემს. შეერთებულს შტატებს ამნაირად ესმით ეს დევიზი და ქვეყნების შეძენა გუნებაშიც არ უძევთო. ამ სიტყვებმა მეტად კარგი შთაბეჭდილება იქონია კონგრესზე და ყველანი დაამშვიდა.

საფრანგეთი. ფრანგული გაზეთები სწერენ: საფრანგეთის პარლამენტში ახალი ჯგუფი შესდგაო. ეს ჯგუფი მემარცხენეთა დასის 55 წევრმა შეადგინაო. თავდაპირველად სასკოლო რეფორმების შესრულებას მიაქცევს ყურადღებას და ეცდება, რომ კლერიკალების გავლენა სკოლებზე მთლად მოსპოსო. ამ ჯგუფის მეთაურად პირველ-მინისტრად ნამყოფი ბრისონია.

✿ შეერთებული შტატების მრეწველობამ და ტეხნიკამ ყველა ქვეყნებისას გაუსწრო. ამიტომ ამ ქვეყნის მრეწველობის წესებმა ყველას ყურადღება მიიქცია. გაზეთები იუწყებიან: საფრანგეთის მრეწველობის მინისტრს ბ-ნს მილიერანს განზრახვა აქვს შეერთებულ-შტატებში ფრანგი ყმაწვილებისათვის უმაღლესი სკოლა გახსნას. ამ სკოლაში საფრანგეთის უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლების მოწაფეები გაიგზავნებიან და ამერიკის მრეწველობას შეისწავლიან. მილიერანმა კომისია შეადგინა და მიანდო, რომ ამის თაობაზე პროექტი შეიმუშაოს.

გერმანია. გაზეთები დიდი ხანია სწერენ, იქნება გრაფი ბიულოვი სამსახურიდან გადადგესო. გაზ. «ტანა»-ი ჰფიქრობს, რომ ეს ამბავი სწორე არ უნდა იყოსო. გაზეთი მაინც შენიშნავს, რომ იმპერიის კანცლერი მაინც მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილაო. სწორედ ორ წყალ შუაა მოქცეულიო. გრაფმა ბიულოვმა ვეღარა მოუხერხა რა, არ იცის სწორედ რა მოაგვაროს და სხვა-და-სხვა დასის მოთხოვნილებ როგორ შეასრულოს; მებატონეები ბაჟების მომატებას სთხოვენ, დემოკრატია კიდევ თხოულობს სავაჭრო პირობებით უნდა შევეკრათ სხვა სახელმწიფოებსაო. თუ მებატონეების თხოვნას შეასრულებს, მაშინ ბიულოვი ავსტრიასა და იტალიას სავაჭრო პირობებით ვეღარ შეეკვრება და ბისმარკისაგან ნაანდერძებ სამთა კავშირსაც დაარღვევს და თუ სავაჭრო ხელშეკრულობათა ვადის გადადებას დასთანხმდა, მაშინ კიდევ მებატონეების ხროს გადაიკიდებს.

✿ გერმანიის დემოკრატია ყოველნაირად ცდილობს, რომ ახალი სადამოჟნო ტარიფი არ დაამტკიცებინოს რეიხსტაგს. დემოკრატიამ ქაღალდი დაწერა ამის თაობაზე და ხალხს ხელი მოაწერინა. ჯერ ჯერობით 1,000,000 კაცს მოუწერია ხელი ამ ქაღალდზე.

ჩინეთი. ლიხუნ ჩანგი გარდაიცვალაო,—ასე ეწერა დეპეშებში, ასე სწერენ გაზეთებში, მაგრამ კაცს მაინც როგორღაც არა სჯერა, რომ ეს ამბავი მართალი იყოს. «ჩინელი ბისმარკი» ათასჯერ გახდა ავად, ათასჯერ იყო სიკვდილის პირს, მაგრამ ბოლოს ისევ რჩებოდა. ამიტომ ლიხუნ ჩანგის ავადმყოფობის ამბავი აღარავის არა სჯეროდა. ყველა ჰფიქრობდა: ან გაზეთები იგონებენ, ან არა და თითონ ლიხუნ ჩანგი განგებ ხდება ავად რაიმე საიდუმლო მოსაზრებითაო. მაგრამ ეხლა კი ნამდვილად გარდაიცვალა ჩინელი ბისმარკი. ლონდონის გაზეთებს შემდეგი ცნობები მოუდით ლიხუნ-ჩანგის უკანასკნელ დღეების შესახებ:

«როცა წარსულ სამშაბათს ექიმებმა და მათ შორის გერმანიის საელჩოს ექიმმა ვედდემ ლი-ხუნ-ჩანგი ნახეს, ავადმყოფი კარგ გუნებაზე დაუხვდათ, თუმცა კი ძლიერ სუსტად გრძნობდა თავს. თუმცა ექიმებმა დაუშალეს, ლიხუნჩანგი მაინც თავის საქმეებს თავს არ ანებებდა. ოთხშაბათს დილით ისევ დაიბარეს ექიმები: ლიხუნჩანგს გონება დაჰკარგოდა და დონე გამოჰკლეოდა. შუადღის დროს ექიმებმა გამოაცხადეს, ავადმყოფი სამ საათზე მეტს ვეღარ გასძლებსო, მაგრამ მაინც კიდე 20 საათი გასძლო. თითონაც გაკერპდა, სახელმწიფო საქმეებს თავს არ ანებებდა და მისი სახლობაც ევროპიელ ექიმებს არას უჯერებდა. ყველა ამ მიზეზებმა ჩინელ ბისმარკს სიცოცხლე მოუსწრაფა.

სამხრეთ აფრიკა. ქალ. იოჰანესბურგის ციხის უფროსად ნამყოფი დოქტორი კრაუზე დღემდე ლონდონში ისევ ციხეში ზის. გეხსომებათ, ამ კაცს სახელმწიფოს ღალატი ჰბრალდება. ამბობენ, სესილ როდსი და ჩემბერლენი ცდილობენ, რომ კრაუზე სამხრეთ-აფრიკაში გაგზავნონ და იქ სამხედრო სამართალში მისცენ. თუ ეს განზრახვა შესრულდა, მაშ, ნეტავი არაა, კრაუზეს თოფით დახვრეტენ. ამიტომ კრაუზეს მეგობრები, ინგლისელები, ჰოლანდიელები და გერმანელები ფულს აგროვებენ, უნდათ რომ ამ ფულით—თითონ კრაუზე ღარიბი კაცი ყოფილა—კარგი ადვოკატი დაუჭირონ და როგორმე სიკვდილს გადაარჩინონ.

ახალი ამბავი

✦ გამოფენის განყოფილების გამგეთ შეატყობინეს კომისარს, რომ მათ სასურველად მიაჩნიათ გამოფენის განახლება მომავალ წლის მაისიდან სექტემბრამდე. საბოლოოდ განიხილავს ამ კითხვას გამოფენის გამგე-კომიტეტი დღეს.

✦ ხუთშაბათს, 1 ნოემბერს სხდომაზე ქალაქის გამგეობას მოახსენა ბ. შეს[illegible]აკოვმა, რომ ქალაქის აწ გარდაცვალებულის მოურავის ევანგულოვისა, გამგეობის ყოფილ წევრთა თავ. არღუთინსკისა და ივანენკოსი და გამგეობის წევრის ხოსროევის საქმე სამოსამართლო პალატაში [illegible] დეკემბრისათვის არის განსახილველად დანიშნული. ამის გამო გამგეობამ დაადგინა—ეთხოვოს გამგეობის წევრს თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს მოიწვიოს საქმის გარჩევის დროს გამოცდილი სტენოგრაფი, რომელსაც, თანახმად საბჭოს 11 ივნისის გარდაწყვეტილებისა, გასამრჯელოდ 250 მან. უნდა მიეცეს.

✦ ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიას ამას წინად გარდაეცა ქალაქის გამგეობისაგან წინადადება იმის გამოსარკვევად, თუ ქალაქისათვის რომელი ტიპის საშუალო სატეხნიკო სასწავლებელი უფრო უკეთესი იქნება. 1 ნოემბრის სხდომაზე კომისიამ განიხილა ეს საკითხი, მაგრამ მაინც ვერავითარს გამორკვეულს მოსაზრებას ვერ დაადგა. საბოლოოდ ამ საქმის განხილვა გადაიდვა მომავალ სხდომისათვის.

✦ გუშინ-წინ საქალაქო სკოლების გამგე კომისიამ განიხილა ბარაბოვის პროექტი სასკოლო სახლისა, სადაც უნდა მოთავსდეს საიუბილეო დღესასწაულების გამო განზრახული ორი სკოლა. პროექტით, სახლი ორ-სართულიანი უნდა იქმნეს. ზემო სართულში მოთავსდება კლასები, ერთი კლასი დანიშნული იქმნება განსაკუთრებულად ადგილობრივ ენების სწავლებისათვის. შენობაში უნდა მოთავსდეს 300 მოსწავლე. ქვემო სართულში იქმნება სარეკრიაციო ზალა, ამბულატორია, სკოლის გამგის ბინა, სასკოლო მუზეუმი და სხვ. ეზოსა და სახლს უნდა ეკავოს უკანასკნელი 400 კვ. საჟენი. დაჯდება ეს შენობა 40.000 მ. კომისიამ მოიწონა ეს პროექტი, როგორც ტიპი ქალაქის სკოლის შენობისა.

✦ როგორც ვიცით, არსებობს განსაკუთრებული კომისია, წყალთა ინსპექტორის ბ. პეტროვის თავმჯდომარეობით. ამ კო-

მისიამ უნდა გამოარკვიოს მდ. მტკვრის კალაპოტის ის საზღვრები, სადამდეც შეიძლება სახლებია აშენება. რადგან ამ საქმისათვის ფულია საჭირო და კომისიას კი იგი არ აქვს, ბ. პეტროვმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, თვით გამგეობამ მოახდინოს საჭირო გამოკვლევა და ცნობები კომისიას წარუდგინოს შესაფერ დასკვნის გამოსაყვანად.

◆ გუშინ, დილის 10 საათზე **ცეცხლი გაჩნდა** ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტის სახლში, განოვის ქუჩაზე. ცეცხლი მოჰკიდებოდა შეშის საწყობს სარდაფში და დიდი შიშიც გამოიწვია, მაგრამ მალე ჩააქრეს. ზარალი ცოტა უნდა იყოს.

◆ გუშინ წინ ქალაქის გამგეობამ და კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს ცეცხლის მქრობელ რაზმისთვის შენობის აგება, დაადგინა: 1) თანახმად საბჭოს დადგენილებისა, აშენდეს სახლი კონსულის ქუჩაზე როგორც ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის, ისე ქალაქის სხვა დაწესებულებებისათვის (უნდა დაჯდეს ეს სახლი 138,000 მან., ამას გარდა ძველ სახლს აქვს „პრიკაზის“ ვალი—11,543 მან.); 2) აიღონ ამ საქმისათვის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისაგან 150.000 მ. ვალი; 3) ააშენონ სადგომი ნაწილ-ნაწილ. 4) გაზაფხულზე შეუდგნენ საჯინიბოს აშენებას, რაც 50.000 მ. უნდა დაჯდეს.

◆ 31 ოქტომბერს **გარდაიცვალა** ტფილისში კარგად ცნობილი ბეითალი ბოლოტოვი. განსვენებული სწავლის დამთავრების შემდეგ სულ კავკასიაში მსახურებდა. ამ რამდენიმე წლის წინად მოხუცებულობის და ავადმყოფობის გამო სამსახურს თავი დაანება. ბოლოტოვი სამეურნეო და პირუტყვების მფარველ საზოგადოებების წევრი იყო და მონაწილეობას იღებდა ამ დაწესებულებათა საქმეებში.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობის **მდივანმა ბ. იაკიმოვმა** შეიტანა საბჭოში განცხადება, რომლითაც იგი თხოულობს, დაუბრუნონ მას ხმოსნობის უფლება. ბ. იაკიმოვი ამას წინად ტფილისიდან წავიდა და ითხოვა ხმოსნობის თანამდებობიდან განთავისუფლება.

◆ ოფიციალურის ცნობებით, ძალიან გავრცელებულია **დიფტერიტი** პოლიციის მეათე და მეშვიდე ნაწილში.

◆ დღეს, 3 ნოემბერს, **ტფილისის სასამართლო პალატაში**, სხვათა შორის, განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: ნემო კვანტაძისა, რომელსაც კაცის მოკვლა ბრალდება, ჩხარის ბოქაულის მეუღლის ელისაბედ ჟურულისა, რომელსაც 13 წლის თვისი მოსამსახურე ქალის ტანჯვა-წვალება ბრალდება; იულონ პაჩულიასა და მეტო წულეისქირისა, რომელთაც ყაჩაღობის ჩადენა ბრალდებათ; ილია აქავასი, სადამოუნო წესის დარღვევა ბრალდება; გიორგი ქაჯაიასა და სოლომონ იმერლიშვილისა, რომელთაგან პირველს სასჯელთა დებულების მე-1643 მუხლისა, ხოლო მეორეს მე-1464 მუხლში აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ბრალდებათ.

◆ სამშაბათს, 30 ოქტომბერს, ტფილისის **სასამართლო პალატამ** დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება, რომლითაც დიმიტრი თურქიას განზრახ კაცის მოკვლისათვის მიესაჯა ყოველივე განსაკუთრებულ უფლებათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში სამის წლის ვადით გაგზავნა.

◆ ამ რამდენისამე ხნის წინად ტფილისის სასწავლებელთა გამგე-კომისიაში საკითხი აღიძრა იმის შესახებ, რომ ტფილისის დედათა **საპროფესიონალო სკოლაში** ხაზვა-ხატვის მასწავლებლად ქალი მოეწვიათ. ეს საკითხი კომისიამ განიხილა გუშინწინდელ სხდომაზე და გადასწყვიტა—სამოსწავლო წლის ბოლომდე ხატვის მასწავლებლად ისევ ბ-ნი გალუბცოვი (ეხლანდელი მასწავლებელი) დასტოვოს.

◆ ხუთშაბათს, 1 ნოემბერს, სხდომა ჰქონდა ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიას, რომელმაც, სხვათა შორის, დაადგინა მიწვეულ იქმნენ ტფილისის დედათა საპროფესიონალო სასწავლებელში **ბუღალტერიის** მასწავლებლის თანამდებობაზე გამოსაცდელად ქ-ნნი მასლოვისა, არვანოვისა და ტადნიშე; მათი გამოცდა დანიშნულია მომავალ კვირის ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს ნაშუადღევის პირველ საათიდან. გამოცდას დაესწრებიან აღნიშნულ სკოლის გამგე და სასწავლებელთა გამგე-კომისიის მსურველი წევრები.

◆ დეკოლიანცი და ვართანოვი სთხოვენ ქალაქის გამგეობას ტფილისის ზოგიერთ ადგილებზე **ავტომატიურ ფარნების** დადგმის ნებართვას. ეს ფარნები სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულების სარეკლამოდ არის გამოგონილი. ფარნებზე იქნება საათი და ტერმომეტრი.

◆ **მოგვივიდა** „კავკაზსკი ვესტნიკ“-ის მეთერთმეტე ნომერი. მეტ ნაწილად წინანდელ წერილების გაგრძელებაა ამ ნომერში.

◆ რადგანაც აღმოჩნდა, რომ **კვერცხის ფასის** აწევა ხელოვნურად იყო გამოწვეული, პოლიცმეისტერის განკარგულებით ეხლა 100 კვერცხი 1 მ. 80 კ. იყიდება.

◆ ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს შემოიღოს განსაზღვრული **ნიხრი შეშის გადმოზიდვისა.**

◆ 1 ნოემბერს, პოლიციის მე-3 ნაწილში, მუხრანის ქუჩაზე, მესროფოვის სახლში მოთავსებული დუქნიდან ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ მოუპარავთ სხვა და სხვა ნივთები სულ დაახლოვებით 500 მან. დუქნის პატრონს ეჭვი ქურდობაში განუცხადებია გორის მაზრის სოფ. ახალ-ქალაქის მცხოვრებს მინა ოქრუაშვილსა და გიორგი გოგოძეზე, რომელთა დასაჭერად და საქმის გამოსაძიებლად პოლიციისაგან საშუალება იქმნა მიღებული.

◆ პოლიციის პირველ ნაწილში, ყორღანოვის ქუჩაზე, წმ. ნინოს მონასტრის შენობიდან გაუფრთხილებლობის გამო გადმოვარდნილა კოლა ბაღდასაროვი და ისე მძიმედ დაცემულა, რომ ხერხემალი გაუტეხია საწყალს. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

რუსეთის ქრონიკა

✠ სენატმა ხელმეორედ ახსნა, რომ, თუ აფიცრები ვერ იშოვიან სადგომებს იმ ფულით, რომელსაც აძლევს მათ ხაზინა ამ საქმისათვის, ქალაქის თვით-მმართველობა ვალდებულია შვიდის დღის განმავლობაში, დღიდან შეტყობისა, მოათავსოს აფიცრები ქალაქისაგან ნაქირავებ სახლებში.

✠ სამთო ინსტიტუტის საბჭო სხვა ცვლილებებთან ერთად იმასაც შუამდგომლობს სამინისტროს წინაშე, რომ მთელი სამოსწავლო კურსი გაიყოს ორ სპეციალურ განყოფილებად—საქარხნოდ და სამთოდ.

პრესსა

ჩვენშიაც გაიღვიძა წიგნის კითხვის სურვილმა და აქა-იქ არსდება სახალხო ბიბლიოთეკები, მაგრამ მეტ წილად უსახსრობის გამო ამ ბიბლიოთეკებს არსებობა არსებობას არ ჰგავს. „ქველმოქმედს“, რომელიც თვითონ არ საჭიროებს სახალხო ბიბლიოთეკას წიგნებს, მალე ბეზრდება „ქველმოქმედება“ და ბიბლიოთეკაც ღვთის ანაბარა რჩება. ამიტომ, როგორც სხვაგან, აქაც ხალხის თვით-მოქმედებაა საჭირო. სანამ თვით ხალხი არ გაუწევს პატრონობას მისთვის საჭირო დაწესებულებას, მანამ ეს უკანასკნელი ვერ ახეირებს. მართალია, ხალხი ღარიბია ფულით, მისთვის ერთი გროშიც ძვირად ღირს, მაგრამ მას სხვანაირად შეუძლია საქმეს მოუაროს. აი რას მოგვითხრობს გაზ. «ფიგაროს» 1 ნოემბრის ნომერი: საფრანგეთში, ერთ პატარა სოფლის მასწავლებელს შეუდგენია „წიგნების მეგობრების“ საზოგადოება. საზოგადოებაში ეხლა სულ 33 წევრი ყოფილა. ამათ დაუქირავებიათ პატარა მიწა, დაუთესიათ შიგ კარტოფილი, გაუყიდნიათ და შემოსულ ფულით წიგნები შეუძენიათ. გარდა მიწის ღალისა, საზოგადოებას ფული ერთი შაური არ დაუხარჯავს; სამაგიეროდ უშრომნიათ და ამ შრომით მოუწყვიათ საქმე. ჩვენში ამგვარ საქმის განხორციელება ბევრად უფრო ადვილია, რადგან მიწა ჩვენში გაცილებით უფრო იაფია და მეტ წილად ღალის გადაუხდელადაც შეიძლება მემამულეთაგან შოვნა. სასურველია, რომ ჩვენმა სოფლის მასწავლებლებმაც ითავონ ეს საქმე და მკვიდრ ნიადაგზე დააყენონ სახალხო ბიბლიოთეკები. „ქველ-მოქმედებით“ — და მერე ჩვენებურ ქველ-მოქმედებით—საქმე არ გაკეთდება.

⁂

რუსული გაზეთები განაგრძობენ სჯაბაასს საქალაქო თვით-მმართველობის რეფორმის შესახებ. ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ამის შესახებ სხვა-და-სხვა გაზეთის აზრი, რომელთაგან მკითხველი დაინახავდა, რომ გაზეთები საჭიროდ სთვლიან საქალაქო საარჩევანო უფლებათა და თვით-მმართველობის მოქმედების არპარეზის გაფართოვებას. გარდა „მოსკ. ვედომ.“-სა და ორიოდ სხვა უმნიშვნელო გაზეთისა, ყველანი თანახმად ამბობენ, რომ ქალაქის საქმეების განვითარება-გაუმჯობესობისათვისა საჭიროა არა შეზღუდვა, არამედ გაძლიერება თვით-მმართველობისა. თვით „ნოვ. ვრემია“-ც, რომელიც არ ჩაითვლება ადგილობრივ საზოგადო დაწესებულებათა მომხრედ, თითქმის ყოველ დღე სწერს აწინდელ საქალაქო დებულების წინააღმდეგ და ამტკიცებს მის შესწორების საჭიროებას და თვით-მმართველობის პრინციპის აღდგენას. ეხლა გაზეთებს ჟურნალებიც მიემხრნენ და სხვა-და-სხვა მხრით სჯიან საქალაქო რეფორმის შესახებ. ჟურნალებიც იწუნებენ აწინდელს დებულებას და ამასთანავე აცხადებენ, რომ თვით-მმართველობის მეტი შეზღუდვა სრულიად შეაჩერებს ქალაქების განვითარების საქმესაო. „რუსსკ. მისლ“, მაგალითად, სწერს იმ ზომების შესახებ, ვითომ განზრახული იყოს ქალაქის თავის არჩევის წესის მოსპობა, რომ ქალაქის თავს მთავრობა დანიშნავს და არჩევნები სრულიად აღარ იქნებაო. ჟურნალი ამბობს, რომ ეს კიდევ უფრო დასცემს ქალაქების მდგომარეობას, რადგან ანორმალურ გარემოებას შექმნის, სახელდობრ: გამგეობისა და საბჭოს შუა სრულს ანტიგონიზმს, წინააღმდეგობას.

„საქალაქო თვით-მართველობის დედა-აზრით, ქალაქის თავი უნდა იყოს საბჭოს სურვილთა და დადგენილებათა გამომხატველათ და აღმასრულებლად. დანიშნული ქალაქის თავი-კი აღარ იქნება საბჭოს წარმომადგენელად; ის საბჭოსაგან დამოუკიდებელი იქნება და ხშირად საბჭოს წარუდგენს სხვის სურვილს, სხვის განზრახვას, რომელთაც საბჭო უყურადღებოდ ვერ დასტოვებს. აქედან უნდა მოველოდეთ ხშირ შეტაკებას ქალაქის თავისა და საბჭოს შუა, რაც, რასაკვირველია, ძალიან ავნებს საქალაქო საქმეების მსვლელობას»...

თეატრი

ქართული თეატრი. ავადმყოფი ხალხი—გაუპტმანისა. **ოქროს ევა**—თარგ. ა. ცაგარლისა. ბენეფისი შათირიშვილისა.

კიდევ ორი ახალი პიესა ქართულს სცენაზე. „ოქროს ევა“ ყოვლად გამოუსადეგარია, გაქიანურებული და ნაძალადევი პიესა, თუმცა ტენდენციას არ არის მოკლებული. აშკარაა, ავტორმა დასცინა გერმანელ რაინდ-ბარონებს. ხოლო ეს დაცინვა მეტი უმანკო და მეტი უხეში გამოდგა. მოსწრებული სიტყვები, სიმახვილე გერმანულად იყვნენ შეზავებული და გაუთავებელმა ლაპარაკმა კინაღამ დააძინა ჩვენი საზოგადოება.

რაიც შეეხება ამ პიესის ასრულებას, აქ წუნს ვერ დავსდებთ. მართალია, აწყურელი თავის გარეგნობით და მიხვრა-მოხვრით რაინდს არ მოგაგონებდათ, მართალია, ეს არტისტი აჭარბებდა და ცირკის «კლოუნსავით“ იკლაკნებოდა, მაგრამ, რას იზამთ, როცა თვით როლი იმისთანაა, რომ არ იცით, როგორ უნდა ეჭიროს თავი არტისტს. ამ მხრით შათირიშვილის თამაშობა უფრო მოსაწონი და ზომიერი იყო. გაბუნია-ცაგარლისა შეუდარებელი დაბერებული მოარშიყე ქალი გამოდგა. კარგი იყო აგრეთვე ბ. სარჯველაძე მსახურ—ბიჭის როლში. ბ. იმედაშვილს აქვს კარგი დიქცია და სასიამოვნო ხმაც. თამაშობა კი არ უვარგა. ხელებისათვის ვერ უპოვნია ადგილი და საზოგადოთ მიხვრა-მოხვრა არ უვარგა. ტასო აბაშიძისა ყოჩაღი ცქრიალა არტისტი ქალია. გაბედულობა არ აკლია. არ ეშინიანთ, რაც უნდა გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენოთ სცენაზე, თავს გაიტანს და არ მოგაწყენთ.

„ავადმყოფი ხალხი“ უცნაური, ავადმყოფი და მასთან შესანიშნავი პიესაა. საზოგადოება დიდის ყურადღებით უგდებდა ყურს. „ქანდარა“ სდუმდა და არ იცინოდა. ეს იმის მომასწავებელია, რომ ყველანი ხელოვნურის გრძნობით იყვნენ გატაცებულნი. თქვენს წინ იშლება საშინელი და საზარელი სანახავი. თქვენ დაინახეთ, რომ ადამიანში ზის პირუტყვი. ადამიანი თავის ბუნებით და შინაგან თვისებით ველურია, ხოლო მისი პირუტყვობა და ველურობა ხშირად დამალულია, უჩინარი. აუშალეთ მას ნერვები, დაარღვიეთ მისი სულის მშვიდობიანობა, გამხეცდება იგი, გაქვავდება მისი გული, ჩაჰქრება მასში ადამიანური გრძნობა. ბრაზი, სიძულვილი, ჯავრი დაიბადება მასში. ნერვებ-აშლილი კაცი ცოლს ირთავს. შვილები უჩნდებიან. შვილებს მემკვიდრეობით გადასდით მამისაგან ნერვების სისუსტე. ისინიც მოუსვენარნი არიან აღშფოთებულნი. მთელი ოჯახი ჩხუბის, ცრემლების და დავიდარაბის ადგილად გადაქცეულა.

პიესის შინაარსს ჩვენ არ გადავცემთ მკითხველებს. მთელს პიესაში ჩვენი ყურადღება მიიპყრო დრამის ერთმა უმთავრესმა საგანმა: საშინელია კაცში პირუტყვული ელემენტი. ჩვენ ვფარავთ ამ ელემენტს. ვიცინით, დროს ვატარებთ, ხოლო ყველა ეს გარეგანია. ძირში ყველგან და ყოველთვის ბრძოლაა, მოუსვენრობა, ერთი ერთმანეთის სიძულვილი სხვა-და-სხვა მიზეზებისაგან გამოაშკარავდება ხოლმე და გამოქვეყნდება ეს უჩინარი და მიმალული კაცის ბუნება. ამ პიესაში ამ გვარ მიზეზად ნერვების ავადმყოფობაა. ამ მხრით „ავადმყოფი ხალხი“ შესანიშნავი ფსიხო-ფიზიოლოგიური დრამაა. ბ. მესხიშვილის და ბ. ყიფიანის თამაშობის წყალობით თქვენ უტყუარ მწუხარებასა გრძნობდით. გულ-აღშფოთებული ადევნებდით თვალ-ყურს სულით ავადმყოფებს. მესხიშვილის დაფიქრებული თამაშობა სწორედ რომ შეუდარებელი იყო. ხუთი წამის განმავლობაში იჯდა არტისტი ხმა-ამოუღებლივ და ამ სიჩუმეში, უსიტყვოდ, თავისი გულის ტანჯვა გადასცა მაყურებლებს...

სასურველია, რომ ეს პიესა არა ერთხელ დაიდგას ჩვენს სცენაზედ. თეატრი თითქმის სავსე იყო. ბ. შათირიშვილს დიდის სიმპატიით მიეგებნენ და რამდენიმე საჩუქარიც მიართვეს.

რეცენზენტი.

გეოგრაფიულ საზოგადოების სხდომა

გუშინ წინ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწის თავმჯდომარეობით შესდგა გეოგრაფიულ საზოგადოების კრება, რომელსაც 30-მდე წევრი დაესწრო. კრებაზედ ბ. არაქელიანცმა წაიკითხა მოხსენება: ბაბიზმი, როგორც მომავალი სარწმუნოება სპარსელებისა. ამ ახალ სარწმუნოების ისტორია იწყება 1844 წლიდან. იგი თანასწორობის და ძმობის მქადაგებელია. საკვირველია, მთავრობამ დევნა დაუწყო ახალ სარწმუნოებას და მისი დამაარსებელი ბაბი სიკვდილით დასაჯა. მას შემდეგ ახალის სექტის მოთავე შეიქმნა ბელა, რომელიც ბაბზე უფრო შორს წავიდა: ქალი თანასწორია მამაკაცისა, სპარსელი და სხვა ტომის ხალხი სულ ერთია, ყველა თანასწორია და ყველას სიყვარულით უნდა მოვექცეთ. ამასთან ბელა დიდი მომხრე იყო განათლებისა და კულტურისა. იმ თავითვე ბაბიზმს სოცია-

ლური ხასიათი ჰქონდა—მას ღარიბისა და მდიდრის არსებობა უსამართლობად მიაჩნდა. მთავრობის დევნის გამო ბელა იძულებული შეიქმნა სპარსეთიდან გაქცეულიყო ოსმალეთში, სადაც იგი 1892 წ. მოკვდა. მას შემდეგ ბაბისტების ხელმძღვანელი და მოთავე ბელას შვილია. ნასრედინის სიკვდილის შემდეგ ბაბისტებს აღარ დევნიან, იგი თან და თან ვრცელდება და ძლიერდება. ეხლა თურმე სამხრეთ სპარსეთში 3 მილიონამდე ბაბისტია. რუსეთის სამფლობელოებშიაც ძალიან გავრცელებულია ეს ახალი სარწმუნოება. მომხსენებლის გამოანგარიშებით, კავკასიაში, კასპიის იქეთა მხარეში და თურქესტანში ორი მილიონი ბაბისტი იქნება.

არაქელიანცის აზრით, ბაბიზმი მომავალი სარწმუნოებაა. მთელი სპარსეთი და სპარსელები მალე მაჰმადიანობას მიატოვებენ და ბაბისმის მიმდევარი შეიქმნებიანო, სთქვა მომხსენებელმა. ამიტომ ეს ახალი მოვლენა აღმოსავლეთის სარწმუნოებრივ ცხოვრებაში დიდი ყურადღების ღირსი არის.

შემდეგ საზოგადოებამ მოისმინა ბ. როდელოვიჩის მოხსენება—სოჩის ოლქში მომხდარ მიწის ძვრებზე, მაგრამ ეს მოხსენება მეტად მოკლე და დაუსაბუთებელი იყო. სხდომის დასასრულ ამოირჩიეს საზოგადოების ახალი წევრები.

სიმართლის აღდგენა

(წერილი რედაქციისადმი)

„ცნობის ფურცლის“ სამშაბათის ნომერში, სადაც დაისტამბა ანგარიში შესახებ «წერა-კითხვის საზოგადოების“ წლიურის კრებისა, ამოვიკითხეთ ორი ამბავი, რომელიც სინამდვილეს ეწინააღმდეგება, და სიმართლის აღსადგენად გთხოვთ ამ სტრიქონებს დაუთმოთ ადგილი თქვენსავე გაზეთში.

იქ, სადაც ჩემი სიტყვებია მოყვანილი შესახებ კავკავის სკოლის დაქვეითებისა, ზედ მიყოლებით დაბეჭდილია: „გამგეობის წევრებმა ერთხმივ მიაძახეს გოგებაშვილსა, რომ მისი ნათქვამი ჭორია.“ იქნება ერთმა-ორმა წარმოსთქვა ეს სიტყვა, მაგრამ ერთხმივ კი არ უთქვამთ და ვერც იტყოდნენ, რადგანაც კავკავის სკოლის დაქვეითება შემოწმებულია რევიზიით, რომელიც, თანახმად გამგეობის მინდობილობისა, მოახდინა წარსულის წლის დეკემბერში ბ-ნმა გიორგი იოსელიანმა.

შემდეგ დაბეჭდილია ბ-ნი ზურაბიშვილის სიტყვები: „მე კერძოდ მწუხარებასაც ვაცხადებ იმ გარემოების გამო, რომ ბ-ნმა გოგებაშვილმა კოლლეგიური ეთიკაც კი დაარღვია და თუ ამ სკოლის შესახებ რაიმე ჰქონდა სათქმელი, აქ, გამგეობაში არა სთქვა, რომ ეს საკითხი აქ გაგვეხილა და ჩვენი მოსაზრება გამოგვეთქვა.>

მე არამცთუ ბევრჯელ აღმიძრავს გამგეობაში სჯა მის შესახებ, რომ გამგებლობა და ხელ-მძღვანელობა სკოლისა ჩაიბაროს უფროსს მასწავლებელს, როგორც ეს არის მიღებული ყველა სხვა დაბალს სასწავლებელში, არამედ წერილობითი მოხსენებაც წარვუდგინე გამგეობას ხუთის თვის წინად, ბ-ნი იოსელიანის რევიზიის შემდეგ, და ეს მოხსენება წაკითხულ იქმნა გამგეობის სხდომაზე 12 წარსულ ივნისს. ამ სხდომაზე დაესწრო ბ-ნი ზურაბიშვილიცა და ეცადა, რომ განხილვა ამ საგნისა გადადებულიყო სექტემბრისათვის, რაზედაც მე იქვე ოქმში წერილობითი უთანხმოება განვაცხადე. *)

იაკობ გოგებაშვილი.

---

*) მეორე შენიშვნა ბ. გოგებაშვილისა სრულიად არ შეეხება ანგარიშს. ანგარიშის შემდგენელმა აღნიშნა ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა კრებაზე, ე. ი. ზურაბიშვილის საყვედური ბ. გოგებაშვილისადმი; ხოლო იმის განხილვა, მართალი იყო თუ არა ბ. ზურაბიშვილი, ანგარიშის შემდგენელის საქმე არ იყო. რაც შეეხება ბ. გოგებაშვილის პირველ შენიშვნას, რომ გამგეობას ერთხმად არ მიუძახნია მისთვის «ჭორიო», უნდა ვთქვათ, რომ ეს სიტყვა გამგეობის დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მიაძახა და მხოლოდ ორიოდე თუ იყო გაჩუმებული; მაინცა და მაინც ამას გადაჭრით ვერ გადავსწყვეტთ, რადგან დათვლით არავის დაუთვლია ხმები. რედ.

პროვინცია

ს. სნო (ხევი). ამ სოფელს სამხრეთით ჩამოუდის ეგრედ წოდებული «შავი წყალი», რომელსაც მოხევეები «არაგვს» უწოდებენ და რომელიც კალმახის ბუდეთ არის ცნობილი, აღმოსავლეთით—პატარა საწისქვილო წყალი; როგორც პირველი, ისე მეორე, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ მცირეოდენს სარგებლობას, რომელსაც აძლევენ მცხოვრებლებს, ორივენი სოფლის განმანადგურებლად არიან ცნობილნი: გაზაფხულზე, როდესაც თოვლი იწყებს დნობას, საწისქვილო წყალი მოდიდდება ხოლმე საშინლად, ანგრევს წისქვილებს, მცხოვრებთა სახლებს და იტაცებს მათს სარჩოსაბადებელს. ხშირად მაისის პირველიდან თიბათვის ნახევრამდის ოცდა-ათამდე სახლი თავის ეზოებითურთ შემოიზღუდება წყლით ისე, რომ ერთმანეთთან მისვლა და გზაზე გამოსვლა ხანდახან რამდენსამე დღეს შეუძლებელი ხდება. შესაძლებელია, რასაკვირველია, მისი შეკავება, მაგრამ, მოგეხსენებათ: «სხვისა ჭირი ღობეს ჩხირი-ო»—სწორედ აგრე იქცევიან დანარჩენი მცხოვრებნი ამ სოფლისა და ამ ოცდა ათ კომლს კი მთელი სოფლის დაუხმარებლივ მისი შეკავება არ შეუძლიათ.

რაც შეეხება «შავი წყლის» ნავარდობას, ეს უფრო თვალსაჩინო და საგრძნობელია მთელის სოფლისთვის. ამ წყლის ორივე მხარეს ნაშრომული 450 დღიურზე მეტი სახნავ-სათესი მიწა, დღეს უსარგებლო რიყედ არის ქცეული. რამდენად შევიწროვებულია აქაური მცხოვრები სახნავ მიწის სიცოტავით, ჩანს იქიდან, რომ თითოეულს კომლს, საშუალო რიცხვით, დღიურის სამი მეოთხედი ძლივსღა ჰხვდება ასე, რომ წლიური მოსავალი, რაც უნდა გამოსვლიანი იყოს, ორ თვეს ვერც კი ჰყოფნისთ, დანარჩენს ათ თვეს იკვებებიან სიმინდით, რომელიც ათას ფუთობით შემოდის კაჭკავიდან. აქვთ სათიბი და საძოვარი მთები, მაგრამ უგზოობის და სიშორის გამო ვერც ნახევრად სარგებლობს სოფელი. არ გაივლის ისე ზამთარი, რომ ორი სამი კაცი არ დაშავდეს თივების ჩამოტანის დროს და რამდენიმე ხარი ან ცხენი არ გადაუვარდეთ თვალ-უწვდენელს კლდეში; ხშირად სამ აბაზიან თივის ჩამოტანაში ექვს თუმნიანი ხარი ან ცხენი ეღუპებათ. ჰყავთ საქონელიც—ცხვარი და ძროხა, მაგრამ საქონლის მოშენებაც ვერ არის მაინც და მაინც მოგებიანი: აქაური ყველი, ერბო (კარაქის გაკეთება ხომ სრულებით არ იციან) და მატყლი ვერ უწევს მეტოქეობას კაჭკავის ბაზარზე ჩამოტანილს თერგის ოლქის სხვა-და-სხვა მხრიდან საქონლის ნაწარმოებს, რადგანაც იქ საზოგად მეურნეობა—კერძოდ საქონლის წარმოება—უფრო კულტურულია,

სოფელი კიდევ გაუძლებდა ყველა ამას, რომ მას არ მოსპობოდა ის დღიური ლუკმა, რომელსაც თვითეული მათგანი იღებდა ცხენისა და კაცის მუშაობით კაჭკავის გზაზე

თუ დღეს ეს სოფელი ითმენს მრავალს სხვა-და-სხვა ნაკლულევანებას, შემდეგისთვის იგი საქმის გამობრუნებას იმედოვნებს: ორი წელიწადია მას აქეთ, რაც აქ სასოფლო მთაში ეგრედ წოდებულ «ელიაში» აღმოაჩინეს მადანი «საღებავი ქვა». როგორც ვეცით, მისი დამუშავება აუცილებლივ გაზაფხულზე უნდა დაიწყონ, სხვა არა იყოს რა, დღიური სამუშაო მაინც გაუჩნდებათ

აღსანიშნავია დიდ-მნიშვნელოვანი შემდეგი ფაქტიც: ამ გაჭირვებულმა სოფელმა დაადგინა შარშან გახსნილ ერთ-კლასიან სამინისტრო სკოლის ორ-კლასიანად გადაკეთება და ეს მეორე თვე გადის, რაც ითხოვს ამ განზრახვის განხორციელება და მეორე მასწავლებლის გამოგზავნა, რისთვისაც გადადებულია 120 მან. დამატებითი ჯამაგირი ყოველ წლივ. როგორც საჭიროებაც მოითხოვდა, სკოლის გახსნისთანავე, გაიხსნა საკვირაო სკოლა მოზარდ თაობისათვის და დაარსდა სახალხო უფასო სამკითხველოც.

ე—ზი.

სასამართლო

1900 წლის 29 დეკემბერს, სიღნაღის მაზრიდან ტფილისში ჩამოსულან მიხეილ აგიკოვი და სერაპიონ დუმიკოვი და თან ჩამოუტანიათ გასასყიდად სხვა და სხვა სანოვაგე. შემდეგ ისინი წასულან ტფილისის ოლქის სასამართლოში რაღაც საქმისათვის; ბევრი უხეტიალნიათ ქალაქში, ვერც მიუგნიათ სასამართლო და ვერც ვერავის ისეთს მცნეურს შეხვედრიან, რომ მათთვის მიესწავლებია; ბოლოს მათ გამოსჩენიათ ასეთი „გულშემატკივარი» ტფილისის მოქალაქე გეურქ ზაქარიას ძე სუკიასოვი, რომელსაც უთქვამს—გამომყევით და მე გასწავლით, სად არის ოლქის სასამართლოვო. გლეხები გაჰყოლიან სუკიასოვს, რომელსაც იგინი ერთს მივარდნილს, მიყრუებულს ქუჩაში ქალაქს გარედ გაუყვანია, სადაც მათ ორი უცნობი შემოხვედრიან წინ და უთქვამთ: ფულიანი ქისა დაგვეკარგა, თქვენ ხომ არ გინახავთო? მიცვივნიან საწყალ უმანკო მსხვერპლთ და დაუწყიათ მათ ჯიბეებში ქექა: თქვენ იპოვნიდით ფულებს და არ გვიჩენთო; გლეხებს ფიცს მოჰყოლიან, ჩვენ არ გვინახავსო, მაგრამ ეს არ შეუსმენია მათ წინამძღოლს გეურქა სუკიასოვს, მივარდნია მიხეილ აგეკოვს, ამოუგლეჯია ჯიბიდან 12 მანეთი და გაქცეულან. პოლიციას სუკიასოვი მალე უპოვნია და პასუხის გებაში მიუცია, ხოლო დანარჩენი მათთან მყოფი ქურდ-ბაცეცები ვერ უპოვნიათ. გეურქას საქმე განიხილა გუშინ, 2 ნოემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ, სადაც ოთხი მოწმის ჩვენებით გამოირკვა სინამდვილით მისი ბოროტ-მოქმედება; ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ აღიარა. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო გეურქ სუკიასოვი აგეკოვისა და დუმიკოვის მოტყუებითა და წინასწარგანზრახვით ფულების წაგლეჯაში და გარდაუწყვიტა ყოველივე განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში სამის წლის ვადით გაგზავნა. სუკიასოვი მეტეხის ციხეშია დაპატიმრებული.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

2 ნოემბერი.

პეტერბურგი. ამ დღეებში ლონდონში დაამთავრა მუშაობა იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა გაერკვია იმ კერძო პირების საჩივრები, რომელნიც განდევნილ იყვნენ სამხრეთ-აფრიკიდან ინგლისის სამხედრო მმართველობისაგან. 36 საჩივარი რუსების მხრივ ყოფილა. მათ დახმარება აღმოუჩინა ლონდონში მყოფ იმპერატორის საელჩომ და უმთავრესმა რუსეთის კონსულმა. ამათ ადვოკატს მინდობილი ჰქონდა ჩვენი მემამულეთა ინტერესების დაცვა. რუსების საჩივარი მიღებულ იქმნა და მათ საზღაურიც მიუსაჯეს 4.000 გირვანქა სტერლინგი. ყველა ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან სხვა სახელმწიფოების ქვეშევრდომთ ნაკლები საზღაური მისცეს. ამ ფულს მხოლოდ იმ პირთ მისცემენ, რომელთაც შემოიტანეს საჩივარი.

ნევაზე ყინული მოდის. სითბო ერთი გრადუსია.

ჰააგა. დედოფალი კარგათ იმყოფება, მხოლოდ სრულებით გამოკეთდება, თუ მშვიდობიანად იქმნა, რის გამო დედოფალი ერთ-ხანს ოთახიდან არ უნდა გამოვიდეს.

ჰააგა. ნიდერლანდიის უმთავრესი კონსული კაპშტადტში დევალი, თანხმად თხოვნისა, დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან.

ათინა. ადმირალ კალიარის ესკადრა მოვიდა სირაში. მცხოვრებნი გულითადად შეხვდნენ ესკადრას.

პარიზი. პალატამ 338 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 87-ისა მიიღო პროექტი, რომლის ძალით რკინის გზის მექანიკოსები და აგენტები ათს საათზე მეტს არ იმუშავებენ დღეში და 20 წლის სამსახურის შემდეგ პენსიას მიიღებენ. ფინანსთა სამინისტრომ შენიშნა, რომ ეხლანდელი მდგომარეობა გამოიწვევს ახალ ხარჯებსა და ახალ გადასახადებს.

პეკინი. უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში ძლიერი ქარ-ბუქია და ყინვა. შიშობენ, თუ ვინიცობაა დიდხანს გასტანა ამ ამინდმა, დაბრუნების ვადა იმპერატორის ოჯახობისა გადადებულ იქმნება.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა ახალი წესები რკინის გზის სადგურებზე სახაზინო კორესპონდენციის მიღების შესახებ. ამ წესებით სადგურის უფროსებს უფლება ეძლევათ გადაახდევინონ ადრესატს სამი კაპეიკა ყოველ დაზღვეულ პაკეტზე.

ბერლინი. გერმანიის ელჩად ლონდონში დაინიშნა ჰამბურგში მყოფი ელჩი, რომელიც ხშირად სცვლიდა ხოლმე გაცფელდს.*)

---

*) უკანასკნელი ორი დეპეშა დაგვიანებულია.

რედაქტორი **ალ. ჭყონია.**

გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ბაქო-ტფილისისაკენ 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.); 2)—შუაღამის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე და ბაქომდე: 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.).

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ეძებს სადგომებს ღამის 1-ლ და მე-2-ე თავშესაფართათვის, ქალაქის შუაგულის ახლოს: 1-ლ თავშესაფრისათვის ამ წლის 1-ლ დეკემბრიდან, მეორისათვის—1902 წლის 1-მარტიდან.

სადგომებში ას-ასი კაცი უნდა დაეტიოს და იქვე ოთახი უნდა იყოს ზედამხედველისათვის, სამზარეულო, შეშისთვის ფარდული და თეთრეულის სარეცხი.

ვისაც ჰსურს მიაქირაოს გამგეობას სადგომები, უნდა მიმართონ წინადადებით გამგეობის მე-4 განყოფილებას ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე. (ნ. 3—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Ноября 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა